


სპორტიელი

თემატიკური
შეკრულება

სპორტული გაზეთი შაბათი 26 იანვარი 2008 №016 (3240)

ფასი 50 თეთრი



არ დაემა, ელენე!

რუსული პოლიტპროგრამის კვალი ქართველის პროგრამაში

რა იქნება დღეს, თავისუფალი პროგრამისას, ძნელი სათქმელია, გუშინ კი 17 წლის ელენე გედევანიშვილმა თავისი მესამე ევროპის ჩემპიონატი ასე თუ ისე კარგად დაიწყო. განუმარტოთ: შარშან ელენესთვის ეგებ მეტიც მოგვეთხოვა, რადგან შარშანწინ დიდებში სადებიუტო სეზონში და პირველი ევროპის ჩემპიონატისას ელენემ სენსაციურად ისრიალა, მოკლე პროგრამის შემდეგ მე-3 ადგილი დაიკავა, საბოლოოდ კი მე-5 იყო, რითაც მთელი მსოფლიო ალაპარაკა.

ახლა კი სხვა ვითარებაა. ქართველ მოციგურავეს შარშანდელი სეზონი ფაქტობრივად ჩაუვარდა, რაკი რუსეთიდან ქართველების დეპორტაცია მის ოჯახსაც შეეხო, აქეთ-იქით ხეტიალში ელენე ფორმიდან ამოვარდა და გუშინ შეცდომებიც, ალბათ, ამადაც ჰქონდა.

რადგან ამ თემას შევეხეთ, აქვე ვთქვათ, გუშინ „ევროსპორტის“ რუსმა კომენტატორმა ბოროტად ჩაიქირქილა, ელენეს რუსეთიდან აბარგება საქართველოს მთავრობას ზენოლის ბრალი იყო. მეტიც, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პირადად გადაიხადა დიდი თანხა, ოღონდაც ელენეს რუსეთში არ ევარჯიშა და სხვაგან წასულიყო. სხვათა შორის, იგივე კომენტატორი შარშანდელი ევროპის ჩემპიონატისას ამბობდა, ელენე გედევანიშვილის ოჯახის დეპორტაცია იმის ბრალი იყო, რომ ელენემ მოქალაქეობა არ შეიცვალა და „პრაპისკა“ არ აიღო.

რა იქნება დღეს, ძნელი სათქმელია, ჩვენ კი დიდი იმედი გვაქვს, რომ ელენე გედევანიშვილი თავისუფალ პროგრამას თავისუფლად შეასრულებს „სიყვარულის ისტორიის“ ჰანგებზე, როგორც შეუძლია, ისე ისრიალებს და ტრადიციულად ელიტაში იტრიალებს.

დღეს კი ელენე გედევანიშვილი მე-8 ადგილზეა 53.43 ქულით.

პირველი დღის მერე სამეულში ადგილები ასეა განაწილებული: კაროლინა კოსტნერი (59.31 ქულა), კირა კორპი (58.60), ლაურა ლეპისტო (56.96)

ბაჩო სვანიძე




ჰაჯიშე, ის ძველი ჰაჯიშე!

38 ქვეყანა, 400 მონაწილე, 4 ოლიმპიური ჩემპიონი, 5 მსოფლიოს ჩემპიონი, 6 ევროპის ჩემპიონი, 22 ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორი.

კიდევ რით იყო თბილისი თბილისი? ნახევარმა საქართველომ იაპონური იცოდა, დაუმარცხებელ იამასიტას კი აქ გამარჯვება უზაროდა.

დღეს და ხვალ სპორტის სასახლეში თბილისური მსოფლიოს თასია! ამ დროისთვის მსოფლიოში ყველაზე მეტი საპეკინო ლიცენზიის მფლობელი ქართველი ძიუდოისტები კიდევ ორ ოლიმპიურ ლიცენზიას ეშურებიან.

ავსტრალია გაასაღებავრდავდა ფინალები რაღაც სხვანაირი ბამოდის



ფედერერ-ნადალის მორიგი ბატალიის მაგივრად ავსტრალიის 2008 წლის ღია პირველობის ფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩისა და ფლავია პენეტის ცონგას ჯახს ვიხილავთ. არადა, აქამდე შვეიცარიელმა და ესპანელმა ზედიზედ 11 სლემტურნირის ბედი ერთმანეთში გააკვიეს და წესით, ეს სერია 12-მდე უნდა აეყვანათ, მაგრამ ჯერ ცონგამ პირწმინდად დაჩაგრა ნადალი, გუშინ კი 20 წლის სერბმა თანამედროვეობის უპირობო პირველ ნომერს სამ სეტში გადაუარა — სლემტურნირებზე ფედერერს ასეთი რამ 2004 წლის შემდეგ არ მოსვლია. შედეგად, როგორც ქალთა, ისე კაცთა ფინალები ახალგაზრდული იქნება — შაბათს მარია შარაპოვა და ანა ივანოვიჩი გამოავლენენ უძლიერესს, კვირას კი ცონგა და ჯოკოვიჩი შეასკლებიან ერთმანეთს თავიანთი პირველი სასლემო ტიტულისთვის.

ვარკვეული
პრობლემა
აქვს
ფოტო
გადრი
კითხვა
სად

რეკონსტრუქციის სამუშაოების სია

Table with 4 columns: ID, Description, Unit, and Price. Contains items 15046 to 15531.

შენიშვნები (ძირ. მხ.)

Table with 4 columns: ID, Description, Unit, and Price. Contains items 16046 to 16531.

პროექტი-101 კონტ-2 (0:0 ითვლება სურათად)

Table with 4 columns: ID, Description, Unit, and Price. Contains items 17046 to 17531.



რუბრიკას წარმოგიდგინებთ

Mobil 1

№ 1 საავტომობილო ზეთი

ვალენსია კიჩია დახურა



მსაჯეთში, ვალენსიის მახლობლად მდებარე რიკარდო ტომოს ავტოდრომზე დასრულდა მორიგი წინასასეზონო ტესტები...

მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, ინგლისელი ლუის ჰემილტონი ისევე ჩამორჩა თავის ფინელ თანაგუნედს...

ტესტების დასკვნით დღეს ტრასაზე გამოჩნდნენ „ფორს ინდიას“ მანქანები და ახლადშექმნილი ინდური გუნდის მრავალსახად იტალიელმა პილოტმა ჯანკარლო ფიჯიკელამ მე-11 დრო აჩვენა...

კახა ლომაძე

პროგნოზი ჩემპიონატი, ზაზრაბი, სორვატია 22-27 იანვარი



ჩხური სიურპრიზი

ჩხმა ტომამ ვერნერმა მოკლე პროგრამაში მოპოვებული უპირატესობა თავისუფალი სრიალისას კიდევ უფრო განავრცო და ზაგრებში მიმდინარე ფიგურულად მოციგურავეთა ევროპის ჩემპიონატის უმთავრესი სენსაცია მოახდინა...

ყვამდე ევროპული ციგურაობის უპირობო ლიდერად მიჩნეული ფიგურული ველარე ვერცხლს შესწავლა და 219,45 ქულით ბრინჯაოს დაფაბულდა.

ამასობაში თავიანთი სამცეკვიანი შეჯიბრის მეორე, ორიგინალური ნაწილი წარმოადგინეს მოცეკვავე წყვილებმა და სავალდებულო და ორიგინალური პროგრამების ჯამში, წინ კვლავაც იზაბელ დელობელისა და ოლივიე შონფელდერის ფრანგული წყვილია, რომელსაც 103,97 ქულა აქვს...

ოტსი აქვს და მესუთე უნდა სეპასტიენ ლოები კვლავაც ფავორიტია

WRC

პარასკევს მონაკოს სამთავროში საავტომობილო სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული შეჯიბრი, მონტე კარლოს რალი დაიწყო...



ტოვა მეტკვიდრე, 27 წლის მიკო პირვონენი და წლეულს, სწორედ ის იქნება „ფორდის“ ლიდერი...

პირვონენის თანაგუნედელ-თანამემამულე იარი-მატი ლატვალასაც ნუ დავივიწყებთ...

კახა ლომაძე

კოჩი რეგულარული ჩემპიონატი

Table with NHL schedule and scores for various teams like Boston Bruins, Chicago Blackhawks, etc.

სარბიელი საორტული გაზეთი. გამოცემა 1990 წლის 28 დეკემბერიდან. გამოდის ორჯაბათს...

გამომცემელი ზურაბ შროსია. ლირეკტორი გიორგი მორიქაძე. მთავარი რედაქტორი გიორგი ღარსანიძე...

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00